

ლექცია 2.

ევროპის საბჭოს მიერ შემუშავებული სტანდარტი; (CLIL)-ის საგნობრივი კომპეტენციების ზოგადი მიმოხილვა: რა უნარებს უნდა ფლობდეს ბილინგვალ მასწავლებელი?

CLIL-ის მასწავლებლების კომპეტენციათა ბადე

Pat Bertaux, Carmel Mary Coonan, María Jesús Frigols-Martín, Peeter Mehisto

ეს ბადე წარმოადგენს მასწავლებელთა კომპეტენციებს, რომელიც დამხმარე საშუალება იქნება **CLIL (ენისა და შინაარსის ინტეგრირებული სწავლება)**-ის მეთოდით სწავლების გარემოს შექმნისათვის. ეს კომპეტენციების წინასწარ დალაგება საჭიროა მეთოდის უფრო ეფექტურად განხორციელებისათვის. გარდა ამისა, ადგილობრივი კონტექსტი თავის მოთხოვნებს წაუყენებს CLIL-ის მასწავლებლებს.

ბადე გვთვავობს რეკომენდაციას, დისკუსიას CLIL-ის მასწავლებლების სწავლებისა და განვითარებისათვის. ყოველთვის მოსალოდნელი არ არის, რომ წარმატებულ CLIL-ის მასწავლებელს ჰქონდეს ყველა აქ განხილული კომპეტენცია. მან შეიძლება შეავსოს ერთ სფეროში ცოდნის ნაკლოვანებები სხვა სფეროს კარგი ცოდნით. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ბადე გამოიყენება CLIL-ის მასწავლებელთა პროფესიონალური საჭიროებების იდენტიფიცირებისათვის, ამავდროულად მისი მრავალმხრივი ხასიათი მიუთითებს, რომ იგი არ არის ყველაზე უფრო ხელსაყრელი მექანიზმი მასწავლებელთა პრაქტიკის შეფასებისათვის.

ბადე იყოფა ორ სექციად: ა) CLIL-ის საფუძვლები; ბ) CLIL-ის განხორციელება. პირველი სექცია, უპირველეს ყოვლისა, ფოკუსირებულია კომპეტენცებსა და დაინტერესებულ მხარეთა ურთიერთობებზე. ის ძალიან მნიშვნელოვანია CLIL-ის პროგრამის დაფუძნებისა და მხარდაჭერისათვის. მეორე ნაწილი კი ფოკუსირებულია იმ კომპეტენციებსა და ურთიერთობებზე, რომლებიც არსებითია CLIL-ის პროგრამის დანერგვისათვის.

ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლების საფუძვლები

| კომპეტენციათა არე | კომპეტენციები | კომპეტენციათა ინდიკატორები |
|-----------------------|------------------------------------------------|-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| პროგრამის პარამეტრები | CLIL-ის განსაზღვრება | <ul style="list-style-type: none"> • შეუძლია განმარტოს როგორ არის CLIL შეკავშირებული და განასხვავოს სხვა ენისა და შინაარსობრივი სწავლების მიდგომისაგან. • შეუძლია დაასახელოს CLIL-ის პროგრამის განსხვავებული პარამეტრები/ფუნქციები და აღწეროს მათი მახასიათებლები. • შეუძლია მკაფიოდ გამოყოს CLIL-ის მიდგომის მნიშვნელოვანი ელემენტები. • შეუძლია აღწეროს CLIL-ის უპირატესობები. • შეუძლია აღწეროს ზოგადი სტერეოტიპები CLIL-ის |
| | CLIL-ის მისაწვდომობის შერჩევა | <ul style="list-style-type: none"> • შეუძლია აღწეროს ეროვნული ან/და რეგიონალური პოლიტიკა CLIL-ის შესახებ. • შეუძლია დაეყრდნოს სხვათა გამოცდილებას. • შეუძლია განსაზღვროს პროგრამის მიზნების განხორციელების გზები ბალანსირებული ქმედებით. • შეუძლია CLIL-ის შესაბამისი ტიპი მიაკუთვნოს შესაბამის კონტექსტს. |
| CLIL-ის პოლიტიკა.. | CLIL-ის ადაპტირება ადგილობრივი კონტექსტისათვის | <ul style="list-style-type: none"> • შეუძლია CLIL-ით სწავლების კონტექსტუალიზაცია სკოლის სასწავლო გეგმის მიმართებაში. • შეუძლია დაუკავშიროს პროგრამის პარამეტრები და საჭიროებები მოსწავლეთა განსაზღვრულ კლასს. • შეუძლია CLIL-ის მომხმარებელთა მიზიდვა და მათი დახმარება (მოსწავლეები, მშობლები, დამკვირვებელი, არა - CLIL-ის მასწავლებელი და სხვ.) |
| | CLIL-ის ინტეგრაცია სასწავლო გეგმაში | <ul style="list-style-type: none"> • შეუძლია აღწეროს როგორ უკავშირდება CLIL-ი ეროვნულ და რეგიონალურ კურიკულუმს. • შეუძლია CLIL-ის მიწოდება განათლების ხელმძღვანელობის მოთხოვნათა შესაბამისად. |
| CLIL-ის პოლიტიკა | CLIL-ის პროგრამის დაკავშირება სკოლის ხასიათთან | <ul style="list-style-type: none"> • შეუძლია გასაგებად აღწეროს როგორ ასახული CLIL-ი სკოლის ხედვისა და მისიის დოკუმენტებში. • შეუძლია CLIL-ის პროგრამის სკოლის ცხოვრებაში ინტეგრაციისათვის ხელშეწყობა. (მაგ. რესურსების არჩევანი, კვლევები, შეკრებები და სხვა სასკოლო ღონისძიებები) • შეუძლია წარმოადგინოს პროგრამისა და მოსწავლეთა ინტერესები როცა არის სასკოლო შეხვედრებიან სხვა პროფესიული დიალოგების დროს. |

| | | |
|-----------------------------------------------------------------------|--------------------------------------------------------------------------------------|-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| | <p>CLIL-ის ხარისხის გარანტიის საზომების გამოკვეთა</p> | <ul style="list-style-type: none"> • შეუძლია შექმნას და გამოიყენოს შეფასების მექანიზმები(ტესტები, მომხმარებელთა ანგარიშები, პორტფოლიოები, რუბრიკები და სხვ.) • შეუძლია შეფასების მონაცემთა ახსნა და პროგრამის გაუმჯობესებისათვის შესაბამისი ზომების მიღება. |
| <p>კომპეტენციები სამიზნე ენაში CLIL-ით სწავლებისათვის</p> | <p>ბასიზური, ინტერპერსონალური საკომუნიკაციო უნარების გამოყენება (BICS) (Cummins)</p> | <ul style="list-style-type: none"> • შეუძლია კომუნიკაცია თანამედროვე სოციალური რეგისტრის გამოყენებით. • შეუძლია კომუნიკაციის აკადემიური და სოციალური რეგისტრის შეკავშირება მოცემული კონტექსტის თანახმად. |
| | <p>კოგნიტური, აკადემიური ენის გამოცდილების გამოყენება (CALP) (Cummins)</p> | <ul style="list-style-type: none"> • შეუძლია წაკითხოს თემატური მასალები და თეორიული ტექსტები. • შეუძლია გამოიყენოს შესაბამისი, თემატურად სპეციფიური ტერმინოლოგია და სინტაქსური სტრუქტურები. • შეუძლია დასკვნების გაკეთება სამიზნე ენის გამოყენების დროს. |
| | <p>კლასის მართვის ენის გამოყენება</p> | <ul style="list-style-type: none"> • შეუძლია სამიზნე ენის გამოყენება: <ul style="list-style-type: none"> - ჯგუფის მართვის დროს. - დროის მართვის პერიოდში. - საკლასო ოთახში ხმაურის მართვის დროს. - ინსტრუქციების მიცემისას. - ინტერაქციის დროს. - თანამშრომლობითი მუშაობისას. - კომუნიკაციის გასრდისათვის. |
| | <p>სწავლების ენის გამოყენება</p> | <ul style="list-style-type: none"> • შეუძლია საკუთარი ზეპირმეტყველების გამოყენება სწავლების მექანიზმად, მონაცვლეობით: <ul style="list-style-type: none"> - სამეტყველო რეგისტრი - ინტონაცია - ხმის ტონალობა და მოცულობა |

| კომპეტენციათა არე | კომპეტენციები | კომპეტენციათა ინდიკატორები |
|-----------------------------------------------------------|-------------------------------------------------|----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| კომპეტენციები სამიზნე ენაში CLIL- ით სწავლებისათვის | ენის გამოყენება სასწავლო აქტივობებისათვის | <ul style="list-style-type: none"> • სამიზნე ენის გამოყენება: <ul style="list-style-type: none"> - განმარტებისათვის - ინფორმაციის წარმოსადგენად - ინსრუქციების მისაცემად - გაგებადობის შესამოწმებლად და დასაზუსტებლად. - სირთულეების დაძლევის დონის შესამოწმებლად. • შეუძლია გამოიყენოს საუბრის შემდეგი ფორმები (Barnes, Mercer, et al.): <ul style="list-style-type: none"> - კვლევითი - კრებითი - სადავო - კრიტიკული - მეტა - ს ა კ რ ე ზ ე ნ ტ ა ც ი ო |

კურსის
განვითარება

კურსის დაგეგმვა

- შეუძლია კურსის სილაბუსის ადაპტირება ისე, რომ იგი მოიცავდეს ენის, შინაარსისა და სასწავლო უნარების შედეგებს.
- შეუძლია ენისა და საგნის სასწავლო გეგმის ინტეგრირება ისე, რომ საგნის სასწავლო გეგმა ეხმარებოდეს ენის შესწავლას და პირიქით.
- შეუძლია შექმნას დაბალანსებული ფორმატიული და სუმატიური შეფასების მექანიზმები ენასა და შინაარსში გაგების შესამოწმებლად.
- შეუძლია დაგეგმოს სხვა CLIL-ის ცენტრალური მახასიათებლებისა და სახელმძღვანელო პრინციპების შეკავშირება კურსის ესკიზის ან გაკვეთილი გეგმის სახით. მათ შორის:
 - ენის “სკაფოლდინგი“, შინაარსობრივი და სასწავლო უნარების განვითარება.
 - განგრძობითი ზრდა ენაში. შინაარსობრივი და სასწავლო უნარების განვითარება.
 - შემსწავლელის ავტონომია.
 - კრიტიკული და კრეატიული აზროვნების ხელსეწყობა.
 - მოსწავლეთა დახმარება, დაუკავშირონ სწავლა სასწავლო გეგმის სხვადასხვა საგანს.
 - მოსწავლეთა სწავლის დონის გაუმჯობესებისათვის შეფასების გამოყენება. (სასწავლო უნარები, შინაარსი და ენა, გონებრივი განვითარება).
 - ბაზისური საკომუნიკაციო უნარებისა (BICS) და კოგნიტური აკადემიური ენის (CALP) განვითარების ხელშეწყობა.
 - სხვა სამიზნე ენის მომხმარებლებთან კომუნიკაციის ხელშეწყობა.
- შეუძლია სასწავლო მასალების შერჩევა, მათი სტრუქტურირება და საჭიროების შემთხვევაში ადაპტირება.
- შეუძლია განსაზღვროს და გამოიყენოს სასწავლო სიტუაციები საკლასო ოთახში. (მაგალითად, სადისკუსიო ფორუმები, სასწავლო ჯგუფები, თემის ცენტრები, სამეზობლო და სხვ.)
- შეუძლია შეარჩიოს ენა შემდეგი საჭიროებებისათვის:
 - მოსწავლეების მიერ გაგებისათვის.
 - ნაყოფიერი ენობრივი და შინაარსობრივი კავშირისათვის.

| კომპეტენციათა არე | კომპეტენციები | კომპეტენციათა ინდიკატორები |
|----------------------------------------------------------------|------------------------------------------------------------|-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| <p>თანამშრომლობა მოსწავლეთა სწავლების ხელშეწყობის პროცესში</p> | <p>სხვებთან თანამშრომლობა სწავლის გასაუმჯობესებლად</p> | <ul style="list-style-type: none"> • შეუძლია ითანამშრომლოს მოსწავლეთა მშობლებთან, რათა ხელი შეუწყოს: <ul style="list-style-type: none"> - მშობელთა მიყვანას განათლების კონცეპტებისა და ტერმინოლოგიის გაგებამდე და გამოყენებამდე. ამით ისინი უფრო მეტად დაეხმარებიან ბავშვებს სწავლის პროცესში. - მშობლებთან პროდუქტიული და კონტრპროდუქტიული სტრატეგიების შესახებ უფრო მეტი ინფორმაციის გადაცემას. - მოსწავლის შესახებ უფრო მეტი ინფორმაციის მიღებას, მის უფრო კარგად გაცნობას. • შეუძლია ითანამშრომლოს სკოლის ხელმძღვანელობასთან, განათლების ხელმძღვანელობასა და სხვა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან. • შეუძლია გამოხატოს თავისი პროფესიული დამოკიდებულებები და საჭიროებები კოლეგებთან. • შეუძლია დაეთანხმოს/მიიღოს მასწავლებელთა საერთო სატრენინგო მიზნებს თავის კოლეგებთან ერთად. • შეუძლია გაანალიზოს მასწავლებლის საჭიროებები კოლეგებთან. • ჯგუფური და თანამშრომლობითი სწავლების შემთხვევაში შეუძლია დავალების ეფექტურად განაწილება. |
| | <p>კონსტრუქციული ურთიერთობების დამყარება მოსწავლეებთან</p> | <ul style="list-style-type: none"> • შეუძლია თითოეულ მოსწავლესთან პერსონალურად ურთიერთობა. • სწამს თითოეული მოსწავლის სწავლის უნარის და ცდილობს თავიდან აიცილოს მოსწავლეთა მარკირება. • პატივს სცემს მრავალფეროვნებას. • შეუძლია მოიფიქროს დამარწმუნებელი და წამახალისებელი შეფასება სწავლებაში. • შეუძლია ხელი შეუწყოს ინდივიდუალურ და დიფერენცირებულ სწავლებას. • შეუძლია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთა (SEN students) სწავლება. • შეუძლია მოსწავლეთა საჭიროებების მიხედვით მასალებისა და სტრატეგიების შეცვლა/გამარტივება. |

ენისა და შინაარსის ინტეგრირებული სწავლების შემუშავება სწავლების პროცესში

| კომპეტენციის სფეროები | კომპეტენციები | კომპეტენციის მაჩვენებლები/ინდიკატორები |
|-----------------------|-----------------------------------------------------------------------------|---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| ინტეგრაცია | შინაარსის შერწყმა, ენობრივი და სასწავლო უნარები ინტეგრირებული მიდგომის დროს | <ul style="list-style-type: none"> • შეგიძლიათ მოსწავლეებს ურჩიოთ ფოკუსირება მოახდინონ შინაარსზე, ენაზე, სასწავლო უნარებსა და კრიტიკულ აზროვნებაზე • შეგიძლიათ მხარი დაუჭიროთ შინაარსობრივ სწავლებას მრავალფეროვან კლასში • შეგიძლიათ მოახდინოთ რამდენიმე საგნის შირაარსისა და ცოდნის სფეროს ინტეგრირება |
| განხორციელება | გაკვეთილის დაგეგმარება | <ul style="list-style-type: none"> • შეგიძლიათ შეიმუშაოთ სტრატეგია, რომელიც დაეხმარება დაგეგმილი სწავლებას მაღალი შედეგებისთვის • შეგიძლიათ შეიმუშაოთ ამოცანა, რომელიც მოსწავლეებს მისცემს საშუალებას გამოიყენონ რამდენიმე სასწავლო სტილი • შეგიძლიათ მოიპოვოთ ავთენტური მასალა და მოახდინოთ მისი ადაპტირება, რომელიც მოერგება მოსწავლის ინტერესის სფეროებსა და სასწავლო საჭიროებებს • შეგიძლიათ გამოიყენოთ სასწავლო გარემო საკლასო ოთახის მიღმაც უსაფრთხო და ეფექტური ხერხით • შეგიძლიათ შეარჩიოთ, კონსტრუირება გაუკეთოთ და გონივრულად გამოიყენოთ ვიზუალური, აუდიო და მულტიმედიალური დამხმარე მასალა, რომელიც იქნება რეალური, სწავლის მიზნოსთვის გამოყენებადი მასალა • შეგიძლიათ გააკეთოთ შინაარსის ანალიზი ენობრივი საჭიროებებიდან გამომდინარე • შეგიძლიათ შექმნათ ჯვარედინი სასწავლო კურსისთვის თემები და მასთან დაკავშირებული აქტივობები კოლეგებთან თანამშრომლობით |
| | გაწერილი გეგმების აქტივობებში გადატანა | <ul style="list-style-type: none"> • შეგიძლიათ უზრუნველყოთ დაგროვილი ცოდნისა და ახლადშემენილი ცოდნის დაკავშირების შესაძლებლობები • შეგიძლიათ შესთავაზოთ მოსწავლეებს გადასვლა „კონტექსტუალური მეხსიერებიდან“ „კონტექსტის მნიშვნელობის შემცირებაზე“ სწავლების პროცესში (Cummins) • შეგიძლიათ უზრუნველყოთ შესასწავლ მასალასთან დაკავშირებული მრავალფეროვანი გამოცდილების მიწოდება მოსწავლისათვის • შეგიძლიათ შინარსი და ენა გასაგები გახადოთ მოსწავლისთვის, თუ მას დაეხმარებით მათი „პასიური ცოდნა“ (tacit knowledge) გადაიყვანონ „აქტიურ ცოდნაში“ (explicit knowledge) • შეგიძლიათ უზრუნველყოთ მოსწავლეებისთვის ახალი თემის გარშემო დამოუკიდებლად ძიების შესაძლებლობები წყვილებთან მუშაობის გზით |

| | | |
|--------------------------------|-----------------------------------------------------------------------------|--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| | შედგის მიღწევის ხელშეწყობა | <ul style="list-style-type: none"> • შეგიძლიათ მოარგოთ კურსის შინაარსი ენობრივ და საგნობრივ კურიკულუმს • შეგიძლიათ მოსწავლეების მოღწევების გათვალისწინებით განსაზღვროთ მასალის შინაარსი, ენა და სასწავლო უნარები • შეგიძლიათ ხელი შეუწყოთ მოსწავლის სისტემატიურ განვითარებას • შეგიძლიათ დაეხმაროთ მოსწავლეს მეტა-კოგნიტური ცნობიერების ამაღლებაში • შეგიძლიათ უზრუნველყოთ მოსწავლის შემეცნებითი ჩვევების განვითარების ხელშეწყობა • Can help students to harness higher order thinking vis-à-vis content, language and learning skills • შეგიძლიათ ხელი შეუწყოთ სასწავლო მასალის გამრავალფეროვნებას სხვადასხვა წყაროებიდან |
| მეორე ენის ათვისება (SLA) /... | მეორე ენაში მისაღწევი დონის განსაზღვრა | <ul style="list-style-type: none"> • შეგიძლიათ გამოიყენოთ რეკომენდაციების საერთო ევროპული ჩარჩო (CEFR) ენისთვის, როგორც თვითშეფასების ინსტრუმენტი • შეგიძლიათ გამოიყენოთ რეკომენდაციების საერთო ევროპული ჩარჩო (CEFR), როგორც მოსწავლეების მიღწევების დონის შეფასების ინსტრუმენტი • შეგიძლიათ მიმართოთ რეკომენდაციების საერთო ევროპული ჩარჩოს (CEFR), რომელიც დაგეხმარებათ განსაზღვროთ ენობრივი მიზნები ენისა და შინაარსის ინტეგრირებული სწავლებისას (CLIL) კლასში |
| კომპეტენციის სფეროები | კომპეტენციები | <p style="text-align: center;">კომპეტენციის მაჩვენებლები/ინდიკატორები</p> |
| მეორე ენის ათვისება (SLA) | მეორე ენის ათვისების ფაქტორების (SLA) გათვალისწინება გაკვეთილის დაგეგმვისას | <ul style="list-style-type: none"> • შეგიძლიათ განასხვაოთ ენის სწავლება და ენის ათვისება და შეარჩიოთ შესაბამისი შესასწავლი ენობრივი მასალა • შეგიძლიათ განსაზღვროთ სიტყვები, ტერმინები, იდიომები და განიხილოთ ის სტრუქტურები, რომლებიც ახალია ბავშვისთვის მოცემულ ტექსტში, აუდიო ჩანაწერში ან აუდიო-ვიდეო მასალაში, რომელიც დაეხმარება ბავშვს მასალის გაგებაში • შეგიძლიათ განსაზღვროთ ენობრივი საჭიროებების კომპონენტები ენის მსწავლელისთვის, რომელიც ემსახურება ზეპირი ან წერილობითი უნარების განვითარებას და უზრუნველყოთ დამატებითი მასალის მიწოდება საჭიროების შემთხვევაში • შეგიძლიათ განსაზღვროთ ენობრივი საჭიროებების კომპონენტები ენის მსწავლელისთვის კომპლექსურად, ზეპირი ან წერილობითი უნარების განსავითარებლად და უზრუნველყოთ დამატებითი ადაპტირებული მასალა (მაგ: უცხო სიტყვების განმარტებები, წინადადებები და ტექსტების ტიპები) • შეგიძლიათ ყოველი შემთხვევისთვის გქონდეთ წინასწარი გეგმა: <ul style="list-style-type: none"> - გარჩევადობა/გასაგებობა - შეცდომებზე მუშაობა და შეცდომების გასწორება - “მასწავლებლის საუბარი“ - კოდური გადართვა - კოდური შერევა • შეგიძლიათ მიმართოთ კიდევ სხვა უამრავ სტრატეგიას ბაზისური ინტერპერსონალური კომუნიკაციის უნარების (BICS) და შემეცნებითი აკადემიური ენის ცოდნის (CALP) განვითარებისთვის |

| | | |
|--------------------------|--------------------------------------------------------------------------|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| | <p>მეორე ენის ათვისების (SLA) ფაქტორის გათვალისწინება საკლასო ოთახში</p> | <ul style="list-style-type: none"> • შეგიძლიათ დაეხმაროთ მოსწავლეებს ახალი სიტყვების, ტერმინების, იდიომების გაგებაში და იმსჯელოდ სტრუქტურაზე • შეგიძლიათ მიმართოთ სტრატეგიების ფართო არჩევანს, რომელიც დახმარებას გაუწევს მოსწავლეებს ზეპირი თუ წერიტი უნარების განვითარებისათვის • შეგიძლიათ გამოიყენოთ სტრატეგიების ფართო არჩევანი ენის ღრმა შესწავლისთვის და სკაფოლდინგისთვის/ენობრივი ხარაჩოსთვის, ისე რომ უზრუნველყოთ მაღალი ხარისხის მსჯელობა • შეგიძლიათ გამოიყენოთ კოდური გადართვის და ტრანსლინგვიზმის კონცეფცია და განსაზღვროთ სად და როდის არის მათი გამოყენება რელევანტური • შეგიძლიათ განსაზღვროთ რა შემთხვევაში არის შეცდომების დაშვება დაკავშირებული ენასთან ან შინაარსთან • შეგიძლიათ გამოიყენოთ ენობრივი შეცდომების გასწორების სტრატეგიების ფართო არჩევანი შესაბამისი სიხშირით, რომელიც უზრუნველყოფს ენობრივი განვითარების ზრდას მოსწავლეების დემოტივაციის გარეშე • შეგიძლიათ გამოიყენოთ ისეთი სტრატეგიები, როგორიცაა განმეორება, მოდელირება, რომელიც მოსწავლეებს დაეხმარება ზეპირი მეტყველების განვითარებაში • შეგიძლიათ დაამკვიდროთ და განავითაროთ წყვილებში და დამოუკიდებლად მუშაობის ერთგვარი კულტურა საკლასო ოთახში |
| <p>ინტერკულტურალიზმი</p> | <p>კულტურული ცნობიერების ამაღლება და ინტერკულტურალიზმი</p> | <ul style="list-style-type: none"> • შეგიძლიათ შეარჩიოთ და მოარგოთ სასწავლო პროცესს ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებიდან შეგროვილი ავთენტური მასალა • შეგიძლიათ აქცენტი გააკეთოთ ისეთ კულტურულ პარამეტრებზე, რომელიც დაკავშირებულია შინაარსისა და ენის ინტეგრირებულ სწავლებასთან (CLIL) • შეგიძლიათ მოსწავლეებს უწინამძღვროთ კულტურული ცნობიერების ამაღლებაში • შეგიძლიათ დახმარება გაუწიოთ მოსწავლეებს იპოვონ <i>სწორი სიტყვები/გამონათქვამები და გამოიყენონ სწორ კონტექსტებს</i> • შეგიძლიათ ხელი შეუწყოთ მოსწავლეების ცნობისმოყვარეობის ზრდას სხვადასხვა კულტურების მიმართ, რომელიც უკავშირდება შინაარსისა და ენის ინტეგრირებული სწავლების (CLIL) პროცესს • შეგიძლიათ დაეხმაროთ მოსწავლეებს გასცდნონ დადგენილ კულტურულ სტერეოტიპებს და შეისწავლონ სამიზნე ენა და მასთან დაკავშირებული კულტურული თავისებურებანი • შეგიძლიათ მიმართოთ სხვადასხვა რეგიონების/ქვეყნების წარმომადგენელ ბავშვებს შორის გამართულ ვირტუალურ ან პირისპირ (face-to-face) დისკუსიებს |

| კომპეტენციის სფეროები | კომპერენციები | კომპეტენციის მაჩვენებლები/ინდიკატორები |
|----------------------------------------------------------------------------|-----------------------------------------------------------------------|----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| სასწავლო გარემოს მართვა | სწავლების ეფექტური მხარეების გათვალისწინება | <ul style="list-style-type: none"> • შეგიძლიათ შექმნათ უსაფრთხო გარემო, რომელიც ხელს შეუწყობს შინაარსისა და ენის შესწავლას და სასწავლო უნარების განვითარებას |
| | შინაარსისა და ენის ინტეგრირებული სწავლების (CLIL) პროცესის ეფექტურობა | <ul style="list-style-type: none"> • შეგიძლიათ გამოიკვლიოთ და მხედველობაში მიიღოთ მოსწავლის საჭიროებები, რომელიც უკავშირდება ენას, შინაარსსა და სასწავლო უნარების განვითარებას • შეგიძლიათ გამოიყენოთ ამ მხრივ არსებული საუკეთესო გამოცდილებები, მაგრამ ამავდროულად იყოთ ფოკუსირებული შესასწავლი მასალის შინაარსზე, სამიზნე ენაზე და სასწავლო უნარების განვითარებაზე: <ul style="list-style-type: none"> - ჯგუფის მართვა (მოცემული დროის მიზნობრივად გამოყენება, მოცემულ ამოცანაზე ფოკუსირება და ხმაურის დონის მართვა, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში თვითრეგულაციის უნარების გამომუშავება-განვითარებას) - ინსტრუქციის მიცემა - ინტერაქციის მართვა (მთელს კლასში დისკუსიის კონტროლი, ისევე, როგორც ცალკეულ წყვილებში) - კომუნიკაციის გაძლიარება, (განმარტებები, გაგებულის შემოწმება, სკაფოლდინგი, დასმულ კითხვაზე რეაგირება, კრიტიკული და კრეატიული აზროვნების განვითარება, მეტალინგვისტური ცნობიერების ამაღლება და მოსწავლის დამოუკიდებლად აზროვნების შეუზღუდაობა) - სტუდენტების მიერ შეფასება სასწავლო პროცესისა და დინამიკისა • შესაძლებელია შეგნებულად შექმნა საკლასო ოთახში მასალის მექანიკურად ათვისების შესაძლებლობები |
| მოსწავლის ფიკუსირება შინაარსისა და ენის ინტეგრირებული სწავლებისას გარემოზე | ინტერაქტიული მეთოდების გამოყენება | <ul style="list-style-type: none"> • შეგიძლიათ შეარჩიოთ სასწავლო აქტივობები კლასის საჭიროებებიდან გამომდინარე (მოსწავლე-მოსწავლე; მოსწავლე-მასწავლებელი; მასწავლებელი-მასწავლებელი) • შეგიძლიათ ხელი შეუწყოთ მოსწავლის დამოუკიდებლად განვითარებას, მისცეთ არჩევანის საშუალება, განიხილოთ დაგეგმილი სწავლების შედეგები, ასევე განხილვა და სკაფოლდინგით უზრუნველყოფა საჭიროების შემთხვევაში, მიღწეულის შეფასება • შეგიძლიათ მისცეთ მოსწავლეს „თავისი ხმის“ გამოყენების სრული უფლება • შეგიძლიათ შექმნათ მრავალფეროვანი ჯგუფები, რომლებიც ისწავლიან თავიანთ გამოცდილებაზე დაყრდნობით: <ul style="list-style-type: none"> - ჯგუფის თითოეული წევრის როლის განსაზღვრა - ენის სკაფოლდინგი და ინტერაქციის შინაარსი - სამუშაო პროცესის და შედეგების განხილვა მუშაობის პროცესში - ჯგუფის წევრების შეცვლა ან დაწინაურება - მოსმენილი მასალის განმტკიცება - ჯგუფის მუშაობის პროცესის და შედეგების შეჯამება და მიღებული გამოცდილების გათვალისწინება სხვა ჯგუფებთან მუშაობის დაგეგმვისას • შეგიძლიათ გააკეთოთ მოსწავლეთა ცოდნის მონახაზი, ამ გზით შეძლებთ მათ ცოდნას სისტემური ხასიათი მისცეთ, განსაზღვროთ მათი ინტერესები და დაეხმაროთ მოსწავლეებს ენასთან დაკავშირებით არსებული ცოდნის გამოიყენებაში |

| კომპეტენციის სფეროები | კომპეტენციები | კომპეტენციის მაჩვენებლები/ინდიკატორები |
|----------------------------------------------------------------------------------|-------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| სასწავლო უნარებზე ფოკუსირება შინაარსისა და ენის ინტეგრირებული სწავლების პროცესში | არსებული ცოდნის გადრმავება და კოგნიტური ცნობიერების ამაღლება შინაარსისა და ენის ინტეგრირებული სწავლების პირობებში | <ul style="list-style-type: none"> • შეგიძლიათ ააგოთ ე.წ. სასწავლო ხარაჩო (სკაფოლდინგი), რომელიც იქნება სწავლების დაბალი საფეხურიდან მაღლისკენ მიმავალი, მაგალითად: დამახსოვრება, გაგება, პასუხის დაბრუნება, გაანალიზება, შეფასება, შექმნა (Anderson, Krathwohl, et al.) • შეგიძლიათ სასწავლო მასალა მოარგოთ მოსწავლის კოგნიტურ განვითარებას • შეგიძლიათ განსაზღვროთ მასალის სინტაქსური სტრუქტურა და შეუსაბამოთ ის ენობრივ მოთხოვნილებებს უფრო მაღალი მიზნის მისაღწევად • შეგიძლიათ ხელი შეუწყოთ შინაარსის, ენისა და სასწავლო უნარების უფრო მაღალი მიზნებისთვის განვითარებას • შეგიძლიათ ხელი შეუწყოთ შინაარსის, ენისა და სასწავლო უნარების ურთიერთთანამშრომლობას სასწავლო პროცესში • შეგიძლიათ შეიმუშაოთ სტრუქტურა, რომელიც ხელს შეუწყობს შინაარსის უკეთ გაანალიზებას სხვადასხვა მიმართულებით • შეგიძლიათ გამოიყენოთ შესასწავლ მასალასთან შინაარსობრივად დაკავშირებული სხვადასხვა ელემენტები, აზროვნების უფრო მაღალი მიზნებისთვის ნიადაგის შესამზადებლად • შეგიძლიათ გამოიყენოთ განსხვავება ენის შორის, თუ როგორ აღიქმება ერთი და იგივე საკითხი სხვადასხვა კულტურის ჭრილში • შეგიძლიათ გამოიყენოთ ასევე ის მსგავსებები, რომელიც არსებობს ორ სხვადასხვა ენაში, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში ლინგვისტური ცნობიერების ამაღლებას |
| სწავლების შეფასებები შინაარსისა და ენის ინტეგრირებული სწავლების (CLIL) დროს | შეფასებების გამოყენება, პროცედურები და ინსტრუმენტები | <ul style="list-style-type: none"> • შეგიძლიათ ხელი შეუწყოთ მოსწავლეებს სწავლების შედეგების შეფასებაში, რომელიც მოიცავს კულტურულ ასპექტებს: <ul style="list-style-type: none"> - კავშირი დაამყარონ დაგეგმილი აქტივობების შედეგებს, სასწავლო უნარებსა და სასწავლო პროცესს შორის, მიღებული შედეგის მიხედვით მოლაპარაკებების საფუძველზე შესაძლოა დაიგეგმოს სამომავლო აქტივობები - დამოუკიდებლად და წყვილებში მუშაობის შედეგები - სამმაგი ფოკუსირების შენარჩუნება ენაზე, შინაარსა და სასწავლო უნარებზე • შესაძლებელია განასხვაოთ შინაარსისა და ენის ინტეგრირებული სწავლების სპეციფიკა, რომელიც მოიცავს: <ul style="list-style-type: none"> - ენას სხვადასხვა მიზნებისთვის - ავთენტურ მასალაზე მუშაობას - კომუნიკაციას მოსაუბრეებთან შინაარსისა და ენის ინტეგრირებული სწავლებისას - შესასწავლ ენაში მიღწეული შედეგების ზრდას - კომფორტაბელურობის ზღვარს ენისა და შინაარსის სწავლების ექსპერიმენტის დროს - დაგეგმილი შედეგების კვლევისას პროგრესის დაფიქსირებას - ყველა ენობრივი უნარის განვითარებას - ენობრივი და შინაარსობრივი შეცდომების განსხვავებას - შეფასების განხორციელებას სამიზნე ენაში • შესაძლებელია მოამზადოთ მოსწავლე ფორმალური გამოცდებისთვის, იგულისხმება გამოცდებში მაღალი შედეგები |

| კომპეტენციის სფეროები | კომპერენციები | კომპეტენციის მაჩვენებლები/ინდიკატორები |
|--------------------------------------------------------------|----------------------------------------------------------------------------|--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| უწყვეტი განათლება, ინოვაცია სწავლებაში და სასწავლო მიღწევები | ახალი მიღწევების გაცნობა და გათვალისწინება | <ul style="list-style-type: none"> • შეგიძლიათ კვლავ დარჩეთ შინაარსისა და ენის ინტეგრირებული სწავლების მასწავლებლის ამპლუაში, რაშიც იგულისხმება: <ul style="list-style-type: none"> - სისტემატურად მუშაობა ახალი ტექნოლოგიების ათვისებისა და მათი სასწავლო პროცესში გამოყენებისათვის - ახალი მასალების გამოყენების მცდელობა - თვითშეფასების რეგულარულად კონტროლი და პროფესიული ზრდის მუდმივი საჭიროება - ცოდნის განახლება შინაარსისა და ენის ინტეგრირებული სწავლების შესახებ ახალი სტატიების და წიგნების კითხვის შედეგად - პროფესიული განვითარებისთვის სხვადასხვა კურსების გაკეთება - რეგიონალურ, ეროვნულ და საერთაშორისო კონფერენციებში და სემინარებში მონაწილეობა • შეუძლიათ კოლეგებს ერთმანეთის დახმარება ინოვაციური მეთოდოლოგიის დანერგვის პროცესში • შეუძლიათ ხელი შეუწყონ და დაეხმარონ მასწავლებლები მოსწავლეებს, რომ ადაპტაცია სწავლების ახალ ტექნოლოგიებთან იყოს მარტივი |
| | ინფორმაციული და კომუნიკაციური ტექნოლოგიები (ICT), როგორც სწავლების რესურსი | <ul style="list-style-type: none"> • შესაძლებელია ეძიოთ და გამოიყენოთ ავთენტური მასალა სწავლების პროცესში • შესაძლებელია დაეხმაროთ მოსწავლეებს წიგნიერების განვითარებაში • შეგიძლიათ დაეხმაროთ მოსწავლეებს გამოიყენონ თანამედროვე საინფორმაციო და კომუნიკაციური ტექნოლოგიები სწავლებისას • შეგიძლიათ უზრონველყოთ ელექტრონული და არაელექტრონული მასალის გამოყენების ბალანსირება • შეგიძლიათ ჩამოაყალიბოთ ეთიკური და უსაფრთხო გარემო, საინფორმაციო და კომუნიკაციური ტექნოლოგიების გამოყენებისათვის • შეგიძლიათ გამოიყენოთ საინფორმაციო და კომუნიკაციური ტექნოლოგიები რეგიონალური და საერთაშორისო გაცვლითი პროგრამებისთვის |

*CLIL-ის მასწავლებლების კომპეტენციათა ბადე
(თბილისი, სიეუც-ის თარგმანი, 2011)*

**მულტილინგვური განათლების მასწავლებლის სტანდარტი
დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური**

მუხლი 76. მულტილინგვური განათლების მასწავლებლის პროფესიული უნარები დაწყებით, საბაზო და/ან საშუალო საფეხურებზე.

მულტილინგვური განათლების მასწავლებელი უნდა ფლობდეს ორ ენას, რომელთაგან ერთი აუცილებლად ქართული ენაა.

ა) მიმართულება: მოსმენა

ა.ა) სპეციალობასთან დაკავშირებულ თემატიკაზე პრეზენტაციების, ზეპირი მოხსენებების შინაარსის გაგება და გაანალიზება (მაგ.: პრობლემატიკის, ძირითადი საკითხების გამოკვეთა, მთავარი და არამთავარი საკითხების, ვარაუდების და ფაქტების ერთმანეთისგან გამიჯვნა, საგნობრივ საკითხებზე მიმდინარე საუბრის გაგება და სხვა).

ბ) მიმართულება: კითხვა

ბ.ა) სხვადასხვა ტიპის დარგობრივი ტექსტის (სახელმძღვანელოს მასალა, პოპულარულ-სამეცნიერო ჟურნალის სტატია, და სხვა) გაგება და გაანალიზება (მაგ.: ტექსტში ასახული პრობლემატიკის, ძირითადი იდეის, პრობლემის გამომწვევი მიზეზების განსაზღვრა; მთავარი და არამთავარი საკითხების, ვარაუდების და ფაქტების ერთმანეთისგან გამიჯვნა, ტექსტის ნაწილებს შორის არსებული ლოგიკური ურთიერთმიმართებების დადგენა, და სხვა).

ბ.ბ) ობიექტის ან მოვლენის შესასწავლად სხვადასხვა წყაროდან მონაცემების მოპოვება;

ბ.გ) შინაარსის აღქმა-გააზრების გასაადვილებლად კითხვის სტრატეგიების გამოყენება

გ) მიმართულება: წერა

გ.ა) სპეციალობასთან დაკავშირებულ თემატიკაზე სხვადასხვა ტიპის ტექსტების (მაგ., ახსნითი, აღწერითი, მიმოხილვითი შემეცნებითი ხასიათის ტექსტი დამხმარე სასწავლო მასალისათვის) შედგენა: აზრის თანამიმდევრულად განვითარება; ტექსტის სხვადასხვა

ნაწილის ერთმანეთთან ლოგიკურად დაკავშირება; ინფორმაციის შეჯამება; საკუთარი მოსაზრებების, დამოკიდებულებების გამოხატვა; ტექსტის ორგანიზების წესების დაცვა.

დ) მიმართულება: ლაპარაკი

დ.ა) სპეციალობასთან დაკავშირებულ საკითხებზე საუბარი, დეტალების აღწერა, საკითხების/ცნებების ახსნა-განმარტება, თვალსაჩინოებისთვის კონკრეტული მაგალითების მოხმობა, ინფორმაციის შეჯამება, დასკვნის გაკეთება;

დ.ბ) საგანთან დაკავშირებული მოვლენების, საგნების, ცნებების დასახელება, აღწერა და კლასიფიცირება;

დ.გ) საგანთან დაკავშირებული მოვლენების, საგნების, ცნებების აღწერისას მეცნიერული ტერმინოლოგიის ადეკვატური გამოყენება;

დ.ე) საგანთან დაკავშირებული მონაცემების, ცნებების ინტერპრეტირება და ჩამოყალიბება;

დ.ვ) საგაკვეთილო პროცესის მართვისთვის საჭირო დისკურსის (სხვადასხვა ტიპის მითითება, ინსტრუქციები, შექება-გამხნეება, ახსნა-განმარტება და სხვა) ფლობა;

მუხლი 77. მულტილინგვური განათლების მასწავლებლის პროფესიული ცოდნა

ა) დარგობრივი ცნებები და ტერმინები ორივე ენაზე;

ბ) დიდაქტიკური ცნებები: მრავალენოვანი განათლება; ორენოვანი განათლება; შუალედური ენა (ინტერლანგუე), გადატანის უნარი (ტრანსფერი), ენათა მონაცვლეობის სახეები: მაკრო-, მეზო-, მიკრომონაცვლეობა, ენობრივი უკუგების ტიპები, სავალდებულო და არასავალდებულო ენობრივი ცოდნა, ენის სწავლის სტრატეგიები.

მუხლი 78. სწავლების მეთოდები

მულტილინგვური განათლების მასწავლებელს დაწყებით, საბაზო და/ან საშუალო საფეხურებზე შეუძლია მოსწავლესა და შედეგზე ორიენტირებული ორენოვანი სასწავლო პროცესის დაგეგმვა:

ა) ორენოვანი სწავლების დაგეგმვა სასკოლო სასწავლო გეგმაში

ა.ა) ეროვნული სასწავლო გეგმისა და მრავალენოვანი განათლების დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით, საგნის ფარგლებში ენათა მაკრომონაცვლეობის დაგეგმვა, განსაზღვრა იმისა, თუ:

ა.ა.ა) რომელ საფეხურებსა და კლასებში წარიმართება ორენოვანი სწავლება;

ა.ა.ბ) რომელი თემები/საკითხები ისწავლება პრიორიტეტულად სახელმწიფო ენაზე და რომლები - წამყვან სასწავლო ენაზე. თემების/საკითხების შერჩევა შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით: მათი კონცეპტუალური შესაბამისობა სწავლების შერჩეულ ენასთან; რესურსების მისაწვდომობა; თემების ენობრივი სირთულის ხარისხის შესაბამისობა მოსწავლეთა ენობრივ მარაგთან (ენობრივი სირთულის ხარისხის განსაზღვრად მჭიდრო თანამშრომლობა ქართული ენის მასწავლებელთან);

ა.ა.გ) შერჩეულ თემებზე დაყრდნობით თითოეული ენისთვის სავარაუდო საათობრივი დატვირთვის განსაზღვრა; ორენოვან სწავლებაში ჩართულ მასწავლებლებთან ერთად (ამ ჯგუფში მოიაზრება ქართული ენის მასწავლებელიც), ურთიერთშეთანხმებული მოქმედებისა და ცოდნის ტრანსფერის ხელშესაწყობად, სხვადასხვა საგანში ენათა მაკრომონაცვლეობის გეგმის ბოლო ვარიანტის განხილვა/შემუშავება და წარდგენა სასკოლო სასწავლო გეგმაში ჩასართავად.

ბ) ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლების დაგეგმვა სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას - ქართული ენის მასწავლებელთან ერთად ქართულ ენაზე სწავლებისთვის შერჩეული თემის გაანალიზება ენობრივი მოთხოვნების გათვალისწინებით, კერძოდ,

ბ.ა) სავალდებულო ენობრივი ცოდნის განსაზღვრა თემაში წარმოდგენილი ცნებების, საკვანძო საკითხების გასაგებად; დადგენა იმისა, თუ რას ფლობს მოსწავლე ამ სავალდებულო ენობრივი მოთხოვნებიდან, რას უნდა დაეუფლოს თემის შესწავლამდე, რა უნდა დამუშავდეს წინმსწრებად ქართული ენის გაკვეთილებზე;

ბ.ბ) შესასწავლ საკითხებთან ცნებების გათვალისწინებით ე.წ. არასავალდებულო ენობრივი მასალის განსაზღვრა, რომელსაც გაააქტიურებს საგნის მასწავლებელი შერჩეული თემის ფარგლებში;

ბ.გ) მოსწავლის სტანდარტის მოთხოვნების მიხედვით საგაკვეთილო საგნობრივი და ენობრივი მიზნების, სასწავლო აქტივობების ტიპების განსაზღვრა; მოსწავლეთა ენობრივი მოთხოვნების გათვალისწინებით ენათა მეზომონაცვლეობის დაგეგმვა, კერძოდ:

ბ.დ) განსაზღვრა იმისა, თუ რომელი აქტივობა უნდა წარიმართოს სახელმწიფო ენაზე, რომელი - წამყვან სასკოლო ენაზე (მაგ. ახსნა-განმარტება – პირველ ენაზე, შეჯამება - მეორე ენაზე, ამოცანის ამოხსნა – პირველ ენაზე, ხელახალი ფორმულირება - მეორე ენაზე, თეორიული ნაწილი – პირველ ენაზე, პრაქტიკული ნაწილი - მეორე ენაზე და სხვა);

ბ.ე) ორენოვანი სასწავლო მასალის (ტექსტების, აქტივობების, თვალსაჩინოების - სქემის, გრაფიკის, რუკის, სტატისტიკური მონაცემების და სხვა) სათანადოდ შერჩევა;

ბ.ვ) ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებზე დაყრდნობით, ქართული ენისა და სხვა საგნის მასწავლებლებთან ერთად, ორენოვანი (მოკლე თუ გრძელვადიანი) პროექტების დაგეგმვა (მაგ., ორენოვანი კალენდარი მნიშვნელოვანი თარიღებითა და შესაბამისი კომენტარებით; ორენოვანი ინფორმაციული ბუკლეტი სოფლის/რაიონის/ქალაქის ღირსშესანიშნაობებზე; ორენოვანი რეპორტაჟი და სხვა); მიზნების განსაზღვრა, რესურსების შერჩევა ორივე ენაზე, ძირითადი სამუშაოს შესრულების ეტაპების გამოკვეთა და სხვ.

გ) შედეგსა და მოსწავლეზე ორიენტირებული ორენოვანი სასწავლო პროცესის წარმართვა

გ.ა) ორენოვანი სწავლების ორგანიზებულად წარმართვა ენათა მონაცვლეობის სათანადო გამოყენებით :

გ.ა.ა) ბალანსის დაცვის მიზნით, საგაკვეთილო პროცესში დაგეგმილი მაკრო და მეზო მონაცვლეობის დაცვა.

გ.ა.ბ) მიკრომონაცვლეობის გამოყენება მწელად გასაგები საკითხის ხელახალი ფორმულირებისთვის; საგნობრივ საკითხებზე მსჯელობისას აზრის უწყვეტობის შესანარჩუნებლად; სათაურების, საგნისთვის დამახასიათებელი ლექსიკის, ტერმინების, ცნებების დასახელებისას, ენობრივი ხასიათის მითითებების მიცემისას;

გ.ბ) ენობრივი უკუგების ქმედითი/ნაყოფიერი ტიპების გამოყენება (მოსწავლის პასუხის გამოწვევა; (მაგ., ამას როგორ ვამბობთ?); ახსნა-განმარტების თხოვნა (მაგ., რისი თქმა გინდა?); ენობრივ საკითხებზე მეტალინგვისტური მითითებები (მაგ., ეს მრავლობითია? ეს სიტყვა სხვა რამეს ნიშნავს . . . , აქ მოთხრობითი ბრუნვა უნდა? ასე არ ამბობენ და სხვა); გამეორება წინადადებისა, რომელიც შეიცავს შეცდომას და მისი (შეცდომის) ინტონაციით გამოკვეთა;

გ.გ) ენობრივი უკუგებისას ზედმეტად არ შორდება საგნის კონტექსტს;

გ.დ) იმ ენობრივი პრობლემების მონიშვნა, რომლებიც დამუშავებას მოითხოვს ქართული ენის გაკვეთილზე.

მუხლი 79. ორენოვანი სასწავლო პროცესის შეფასება შედეგსა და მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის შესაფასებლად

ა) განმავითარებელი შეფასების გამოყენება ენობრივი და საგნობრივი შედეგების გასაუმჯობესებლად: ქართული ენის მასწავლებელთან ერთად საკლასო, საშინაო და შემაჯამებელი დავალებების შეფასება, ენობრივი და საგნობრივი პრობლემების გამოვლენა და ჩანიშვნა, მათი ერთად განხილვა და სათანადო სტრატეგიების შემუშავება პრობლემების აღმოფხვრის მიზნით;

ბ) განმსაზღვრელი შეფასების ჩატარება საგნობრივი მიღწევების შესაფასებლად ორივე ენაზე.

ტერმინთა განმარტება

- **ენათა მაკრომონაცვლეობა** გულისხმობს ენათა მონაცვლეობის დაგეგმვას ინსტიტუციურ დონეზე - სწავლების რომელ საფეხურზე რა საგნები ისწავლება ორ ენაზე, უპირატესად რომელ ენაზე წარმართება ამა თუ იმ თემის შესწავლა ერთი საგნის ფარგლებში. მაკრომონაცვლეობა იგეგმება სასწავლო წლის დაწყებამდე ეროვნული დირექტივების გათვალისწინებით.
- **ენათა მეზომონაცვლეობა** გულისხმობს ენათა მონაცვლეობის დაგეგმვას კონკრეტული აქტივობების დონეზე, რომელსაც საგნის მასწავლებელი მოსწავლეთა ენობრივი მზადყოფნის გათვალისწინებით გეგმავს. მისი ამოცანაა საგნობრივი შინაარსის შესწავლის პროცესის ხელშეწყობა და ენობრივი კომპეტენციების ეტაპობრივი განვითარება-გამდიდრება.
- **ენათა მიკრომონაცვლეობა** გულისხმობს ენათა მონაცვლეობას დაუგეგმავად, გაკვეთილის მსვლელობისას წამოჭრილი კომუნიკაციური პრობლემის გადასაწყვეტად.
- **სავალდებულო ენობრივი ცოდნა** იგულისხმება ის ენობრივი კომპეტენცია, რომელიც აუცილებელია ამა თუ იმ კონკრეტული საგნობრივი საკითხის/ცნების შესასწავლად (მაგ., ბუნებრივ კატასტროფებზე საუბრისას მოსწავლეები აუცილებლად უნდა ფლობდნენ თემის შესაბამის ლექსიკას და ესმოდეთ მნიშვნელობა ტერმინებისა, როგორებიცაა: წყალდიდობა, მეწყერი, მიწისძვრა,

მდინარის კალაპოტი, ადიდება; მიზეზ-შედეგობრივი კავშირების გამომხატველი კონსტრუქციები და სხვ.).

- **არასავალდებულო ენობრივი ცოდნა** - ენობრივი შინაარსი, რომელიც გამოიყენება კონკრეტული საგნობრივი საკითხის/ცნების შესასწავლად, მაგრამ მისი ცოდნა ამავე საკითხის ასათვისებლად არ წარმოადგენს აუცილებლობას. მაგ., მათემატიკის გაკვეთილზე პროცენტების გამოანგარიშების შესწავლისთვის თემატიკის არჩევანი შეუზღუდავია. მაგალითად, შესაძლებელია, მოსწავლეებს ვთხოვოთ გამოანგარიშება, კლასის რა პროცენტს ურჩევნია ზამთარი სეზონებს შორის; რამდენი უყურებს ამა თუ იმ სატელევიზიო გადაცემას და მრავალი სხვა. ორენოვანი სწავლების დაგეგმვისა და განხორციელებისთვის მნიშვნელოვანია სავალდებულო და არასავალდებულო ენობრივი ცოდნის გათვალისწინება.

*ბილინგვალი მასწავლებლის სტანდარტი;
განათლებისა და მეცნ. სამინისტრო; იხ. mes.gov.ge*